ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის იანვრიდან დღემდე პერიოდს.

კომისიის შემადგენლობაში არის საკრებულოს 11 წევრი :

1. ოთარ ლურსმანაშვილი
2. ავთანდილ კვინიკაძე
3. დავით კიკნაძე
4. უშანგი ბერაძე
5. პავლე კიკალიშვილი
6. მარინე ხვედელიძე
7. შალვა ლურსმანაშვილი
8. ქეთევან ზუმბაძე
9. ბაქარ ბარბაქაძე
10. კიაზო გამრეკელაშვილი
11. ლენა აბაშიძე

კომისია თავისი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების“ შესაბამისად.

კომისია სხდომებზე განიხილავდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ და საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ასევე თავის კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებდა საკრებულოს სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისობას.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 16 სხდომა, აქედან 12 მორიგი, ხოლო 4 რიგგარეშე.

მოახდინა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისია აქტიურად იყო ჩართული 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში და დამტკიცებაში , საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და გათვალისწინების მიზნით მივმართეთ მერიას.

კომისიამ იმსჯელა ა(ა)ი პ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის

ცენტრისა“ და ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ რეორგანიზაცია საკითხზე, აღნიშნულის გათვალისწინებით, გაიცა შესაბამისი დასკვნა, რათა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის

ცენტრისა“ და ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ რეორგანიზაცია ეფექტიანი მმართველობის განხორციელებისა და მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით, რომლის შემდეგაც შემძენი სუბიექტის სახელწოდება განისაზღვრება შემდეგნაირად: ა(ა)იპ ,,კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების

ცენტრი“.

კომისიამ განიხილა საკითხი რომელიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის

საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებას. მუნიციპალიტეტის სოფლებში გამოიყო სხვადასხვა ადგილები სადაც შეიძლებოდა სააგიტაციო მასალების განთავსება და ასევე გამოიყო ის ადგილი და ტერიტორიები სადაც იკრძალებოდა სააგიტაციო მასალების განთავსება.

კომისიამ განიხილა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობებში ცვლილებები, ესენი შეეხებოდა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და საფინანსო საბიუჯეტო კომისიებს. შესაბამისი დასკვნები წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ომარ გაგოშიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესწყვეტისა და ფრაქცია „ხარაგაულისათვის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი.

შესაბამისად მოხდა ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის“ გაუქმება.
კომისიამ განიხილა,
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ გაუქმებისა და ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი.

აღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე მოხდა ბიუროს შემადგენლობის ცვლილებაც.
შემდგომ ამისა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ცნობას იქნა მიღებული ინგა მაღრაძის, აღნიშნული საკითხიც კომიის მიერ იქნა

განხილული.

კომისიამ განიხილა მუნიციალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის როგორც ანგარიში ასევე მათ მიერ შემოწმებული მერიის სამსახურების თუ ა (ა)იპ-ების მიმართ გაცემული შენიშვნა რეკომენდაციები.

  კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, შესყიდვების სამსახურის, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშები და საკრებულოს წარუდგინა დასკვნები და მოსაზრებები.

აქვე მინდა ავღნიშნო რომ კომისიის წევრების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხშირ გაცდენებს და ქვორუმის არ არსებობის გამო სხდომის ჩაშლას, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომისიის ყველა წევრს.

 მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს და საკრებულოს აპარატს გუნდური და მჭიდრო კომუნიკაციისთვის ასევე, კომისიის გამართულად მუშაობაში ხელშეწობისავის.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
ოთარ ლურსმანაშვილი